თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

07.02.2022

N 461

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს
ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

GR საქართველოს რკინიგზა 1872-დან

მოგეხსენებათ, სს „საქართველოს რკინიგზა" ახორციელებს თბილისი-მახინჯაურის სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტს. პროექტი ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 14 მაისის №2-405 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (2011 წლის 10 ივნისის №8 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) საფუძველზე. პროექტის მიხედვით, მოლითი-ხაშურის მონაკვეთზე მიმდინარეს ახალი სარკინიგზო მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოები.

განახლებული საპროექტო ნახაზების მიხედვით, მოლითი-ხაშურის უბანზე გამოვლენილი საინჟინრო შეუსაბამობებისა და მოსალოდნელი საფრთხის შემცველი რისკების მინიმიზაციის მიზნით, საპროექტო დოკუმენტაციაში საჭირო გახდა სხვადასხვა მოცულობისა და სირთულის ცვლილებების შეტანა, რომლებზედაც გაცემულია შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები, კერძოდ:

მე-6, მე-7, მე-8 გვირაბების პროექტის ცვლილება - „მარყუჟის მონაკვეთი" - 23.09.2019 წლის №2-9124 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (05.03.2014 წლის №11 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა);

მე-9 გვირაბის დასავლეთ პორტალის ნიშნულის ცვლილება - 27.09.2019 წლის №2-935 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (29.10.2014 წლის №54 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება);

მოლითი-ქვიშხეთის უბნის ვარიაცია (დიდი ვარიაცია) - 14.05.2019 წლის №2-405 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (10.06.2011 წლის №8 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა);

სადგური „მოლითის" და მე-8 გვირაბის დასავლეთ პორტალებს შორის არსებული მონაკვეთის მშენებლობა და ექსპლუატაცია (29.11.2018 №2-968 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება).

№ 2717
15 02 2022
3/5 КС
09

აღსანიშნავია, რომ ხაშური-ზესტაფონის სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ძირითადი ნაწილი დამთავრებულია (შესრულებულია სამუშაოების 95%), მათ შორის ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული სამშენებლო მონაკვეთებზე. დღეისმდგომარეობით სამუშაოები მიმდინარეობს მხოლოდ სოფ.ზვარესა და სადგურ „მოლითი"-ს მიმდებარე მონაკვეთებზე. ხსემებულ მონაკვეთებზე სამუშაოების გაჭიანურება გამოწვეულია გარკვეული ობიექტური ფაქტორებით, კერძოდ:

სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, საპროექტო სარკინიგზო ხაზის კმ 20+760 - 23+060 მონაკვეთზე შექმნილი ფორსმაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა საბაზისო პროექტით გათვალისწინებული დერეფნის ცვლილება, კონკრეტულად კი, მე-9 გვირაბის დასავლეთ პორტალის მიმდებარედ განვითარებული მეწყრული პროცესების გამო, აღნიშნულ მონაკვეთზე, სარკინიგზო ხაზი პირველადი პროექტით გათვალისწინებული მდ.ზვარულას მარჯვენა სანაპიროს ფერდობის ნაცვლად, განთავსდება მარცხენა სანაპიროზე. გარდა ამისა, სადგურ მოლითის შენობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად გამოცხადებასთან (2017 წელი) დაკავშირებით დაგეგმილია სადგურის მიმდებარე მონაკვეთის დერეფნის მცირე ცვლილებაც.

სოფ. ზვარეს და სადგურ მოლითის მიმდებარე მონაკვეთების საბაზისო პროექტებში დაგეგმილი ცვლილებები, მნიშვნელოვნად ცვლის სარკინიგზო მაგისტრალის ექსპლუატაციის პირობებს, რაც საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, წარმოადგენს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას, თუმცა, დაგეგმილი სამუშაოების მოცულობებისა და გარემოზე შესაძლო ზემოქმედების რისკებიდან გამომდინარე, კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელება მოხდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საფუძველზე და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იქნა დაგეგმილი საპროექტო ცვლილებების სკოპინგის განაცხადი, რაზედაც 2021 წლის 10 თებერვლის №2-198 ბრძანებით გაიცა №7 (04.02.2021 წ) სკოპინგის დასკვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით, წარმოგიდგენთ, თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, მოლითი - ხაშურის სარკინიგზო უბნის (მათ შორის სოფ.ზვარეს მიმდებარედ დაგეგმილი კმ 20+760- 23+060 მონაკვეთის) პროექტში შეტანილი ცვლილებების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

ამასთანავე გთხოვთ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, გააუქმოთ სარკინიგზო მაგისტრალის პროექტზე აქამდე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები (23.09.2019 წლის №2-9124 (№11 ეკ.ექსპერტიზის დასკვნა - 05.03.2014), 27.09.2019 წლის №2-935 (№54 ეკ.ექსპერტიზის დასკვნა - 29.10.2014), 14.05.2019 წლის №2-405 (№8

ეკ.ექსპერტიზის დასკვნა - 10.06.2011) და 29.11.2018 №2-968) და გასცეთ გაერთიანებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ზვარესა და მოლითის უბნების საპროექტო ცვლილებების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით.

წერილს თან ერთვი:

1.თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, მოლითი - ხაშურის სარკინიგზო უბნის (მათ შორის სოფ. ზვარეს მიმდებარედ დაგეგმილი კმ 20+760-23+060 მონაკვეთის) პროექტში შეტანილი ცვლილებების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;

2.გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;

3.ზვარეს სამშენებლო ბანაკის ექსპლუატაციის პროცესში ზედაპირულ წყლებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტი - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;

4.დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები GIS ფორმატში - CD დისკზე;

5.გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად მოსაკრებლის გადახდის ქვითრის ასლი;

6.ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან სს „საქართველოს რკინიგზა"-ს რეგისტრაციის თაობაზე.

პატივისცემით,

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი

ნინო ჯორბენაძე